საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11753/01
12/11/2021

11753-01-2-202111121522

შპს „დანის“
მის: ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, კოტეჯი N2
ელ. ფოსტა: rusudan.natobaidze@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N16919 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 700 მეტრით. მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან სამხრეთით, დაახლოებით 85 მ-ში ფიქსირდება ფიზიკური პირის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 01.19.28.001.133), რომელიც სავარაუდოდ წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს. ასევე, ტერიტორიის აღმოსავლეთით, დაახლოებით 20 მ-ში განთავსებულია ფიზიკური პირების თანასაკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 01.19.14.004.121). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- გარდა ამისა, 2017 წლის 22 ნოემბერს გაიცა „ქალაქ თბილისში შპს „ლორდის“ ნარჩენების აღდგენის (პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №ი-778 ბრძანება. მიმდინარე წლის 28 მაისს შპს „ლორდის“ დირექტორმა სამინისტროს მომართა მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. შესაბამისად, 2021 წლის 1 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-1007 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 22 ნოემბრის №ი-778 ბრძანება. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია შპს „ლორდის” პოლიმერის აფსკების (ფირების) მიღების საწარმო, სადაც მიმდინარეობს გრანულებიდან პოლიმერის ფირების და ნაკეთობების მიღება. შესაბამისად, დაზუსტებას

საჭიროებს ფუნქციონირებს თუ არა შპს „ლორდის" აღნიშნული საწარმო და მისი ზუსტი ადგილმდებარეობა (გენ-გეგმაზე აღნიშვნით). ამასთან, საწარმოს ფუნქციონირების შემთხვევაში აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იქნეს კუმულაციური ზემოქმედების საკითხში;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში შემოტანილი ნარჩენები იქნება გასუფთავებული (გარეცხილი) და საწარმოს ტექნოლოგიური სქემის მიხედვით, არ მოხდება ნარჩენების გასუფთავების მიზნით წყლის გამოყენება. შესაბამისად, თუ კომპანიის მიერ ტექნოლოგიური ციკლისთვის შემოტანილი ნარჩენი იქნება წინასწარ დამუშავებული (გარეცხილი), სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ კომპანი(ებ)ის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების წინასწარ დამუშავებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს შპს „ლორდის" საკუთრებას (ს/კ 01.19.14.004.295), საიდანაც შპს „დანის" იჯარით აქვს აღებული 420 $მ^2$. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოო ტერიტორიაზე ნედლეულის მიღებისა და მზა პროდუქციის გატანის, მათ შორის ტრანსპორტირების საკითხებს; ამასთან, სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნედლეული ძირითადად შემოტანილი იქნება საქართველოში არსებული სხვადასხვა საწარმოებიდან. დაზუსტებას საჭიროებს იგეგმება თუ არა გადამუშავების მიზნით ნარჩენების სხვა ქვეყნებიდან იმპორტი. ნარჩენების სხვა ქვეყნებიდან შემოტანის შემთხვევაში, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს იმპორტისთვის განკუთვნილი ნარჩენების კოდი და დასახელება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს „საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისათვის, საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის დაშვებული ნარჩენების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის N259 დადგენილებით დამტკიცებულ დანართ „ა"-ით განსაზღვრულ კოდებს და დასახელებებს;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოში შემოტანილი ნედლეულისა და მზა პროდუქციის დასაწყობების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, წლის განმავლობაში საწარმო იმუშავებს არანაკლებ 300 დღე. სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს წელიწადში საწარმოს სამუშაო დღეების ზუსტი რაოდენობა;
- საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფქრვეული ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: პოლიპროპილენის მტვერი, ნახშირჟანგი და ძმარმჟავა. თუმცა დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გაფრქვევის სავარაუდო მოცულობების შესახებ; ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს სკრინინგის განცხადებაში მოცემული ჩანაწერი: „საწარმოში შემოტანილი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გადამუშავების შედეგად იცვლება მხოლოდ მათი დაქუცმაცებისას გაფრქვევის ინტენსივობები, ხოლო აგლომერატ-გრანულატორიდან და გრანულატორიდან გაფრქვევის წამური ინტენსივობები არ იცვლება, შეიცვლება მხოლოდ მათი წლიურად გაფრქვევის რაოდენობები";
- სკრინინგის განცხადებაში მითითებული უნდა იქნეს საწარმოო დანადგარების საპასპორტო მონაცემები (ტიპი, ტექნიკური მონაცემები);
- სკრინინგის განცხადებაში ასახული უნდა იქნეს ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ" N426 დადგენილებით

გათვალისწინებული კოდისა და დასახელების მინიჭებით. ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნარჩენების შემდგომი მართვის საკითხები;

- მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის" გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). **სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ცნობით** სამრეწველო ზონა 1-ში (ს-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას და შესაბამისი ინფორმაციის სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენას;
- დამატებით გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინიტროში წარმოდგენილი შპს „ტავ ურბან საქართველოს" 2021 წლის 15 ოქტომბრის N18580 წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთი მოქცეულია ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისგან შემზღუდველი ზედაპირით შემოფარგლული აეროდრომის რაიონის შეზღუდვის ზონაში და მასზე დასაშვებია მიწის ზედაპირიდან +15 მეტრამდე სიმაღლის შენობა-ნაგებობების განთავსება. ამასთან, საჰაერო ხომალდებისთვის ვიზუალური დაბრკოლებების წარმოქმნის თავიდან აცილების და ორნითოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს საქმიანობის შედეგად არ უნდა მოხდეს მოცემული ზონის დამტვერიანება, დაკვამლიანება ან დანაგვიანება სხვადასხვა სახის საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს სკრინინგის განცხადებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე